

IX თავი

მობილობა ბსუ-ში

საქართველოს სხვადასხვა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს შეუძლიათთად გადმოვიდნენ და სწავლა გააგრძელონ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბსუ).

მობილობის პროცესი ხორციელდება წელიწადში ორჯერ - **შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში** (კონკრეტულ ვადებს ადგენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი), „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად. მობილობის მსურველი სტუდენტი უნდა დარეგისტრირდეს ელექტრონულ პორტალზე, გააკეთოს განაცხადი მობილობაზე, გადაიხადოს მობილობის საფასური, ხოლო დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით წარმოადგინოს:

- ა) განცხადება;
- ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- გ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- დ) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/ ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ (გაიცემა ფაკულტეტის მიერ);
- ე) საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი;
- ვ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ზ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე მობილობის მსურველის თანხმობის შესახებ განცხადება (აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ).

შიდა მობილობა

შიდა მობილობის ფარგლებში, ბსუ-ს სტუდენტს (მათ შორის სტატუსშეჩერებულ სტუდენტს) საშუალება აქვს შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა იმავე ფაკულტეტზე ან გადავიდეს ბსუ-ს ერთი ფაკულტეტიდან სხვა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება არა აქვს დამატებითი სემესტრის სტუდენტს.

შიდა მობილობა წელიწადში ორჯერ ცხადდება, სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში და წარიმართება „ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანების შესაბამისად (წინამდებარე **გზამკვლევის დანართი 9**)

ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველებმა (სტატუსშეჩერებულმა/2010 წლის 4 თებერვლამდე სტატუსშეწყვეტილმა პირებმა) რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადებში უნდა წარმოადგინონ:

- ა) განცხადება;
- ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

- გ) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ (გაიცემა ფაკულტეტის მიერ);
- დ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შესახებ ბრძანების ასლი;
- ე) კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის შესახებ განცხადება (აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ);

შიდა მობილობის მსურველთა განცხადებების რაოდენობა თუკი აღემატება ვაკანტური ადგილების რაოდენობას, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების კრიტერიუმები.

მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის მიზნით ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს პროგრამაზე მიღების წინაპირობა ან/და მობილობის მსურველს ჩაუტარდეს გასაუბრება/გამოცდა.

ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეწყვეტილი/სტატუსშეჩერებული პირის აღდგენის წესით ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ ჩარიცხვის ბრძანების გამოცემამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, მასზე რიცხული ფინანსური დავალიანების დაფარვის შემთხვევაში.